940/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. მარტის 21 № 2 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

11. დონორებისათვის საშუალო ხელფასის შენარჩუნების შესახებ იმ პერიოდში, როდესაც მათ სამედიცინო დაწესებულებანი იყენებენ

12. კირისა და ცემენტის ბეტონიტის ბლოკების ფასების დამტკიცების შესახებ.

13. გაზაფხულზე წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

14. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

15. საკონცერტო-საესტრადო ღონისძიებებით მშრომელთა მომსახურეობის მოწესრიგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

11. დონორებისათვის საშუალო ხელფასის შენარჩუნების შესახებ იმ პერიოდში, როდესაც მათ სამედიცინო დაწესებულებანი იყენებენ.

იმ მიზნით, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული სამკურნალო პრაქტიკაში სისხლის გადასხმის მეთოდები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დონორობა (სისხლის მიცემა გადასასხმელად) წარმოადგენს განსაკუთრებით სასარგებლო საზოგადოებრივ ფუნქციას და დონორთა კადრებში ჩაირიცხებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც ნებაყოფლობით განაცხადებენ თანხმობას, ამასთან დონორები თავიანთ მოვალეობას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ასრულებენ. ჩარიცხვის დროს დონორები მოვალენი არიან წარმოადგინონ ცნობა მუშაობის ადგილისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ, მოსწავლეები ცნობებს წარმოადგენენ სასწავლებლიდან, კმაყოფაზე მყოფნი სახლის მმართველისაგან იმის აღნიშვნით, თუ ვის კმაყოფაზე იმყოფებიან ისინი.

შენიშვნა: უკეთუ დონორი სტოვებს თავის ძირითად სამუშაოს და სისხლის მიცემას პროფესიად გადააქცევს, სამკურნალო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მოხსნას იგი აღრიცხვიდან და შეწყვიტოს მისი გამოყენება დონორად.

2. დაევალოს საწარმოებს, დაწესებულებებსა და სასწავლებლებს, რომლებშიაც მუშაობენ ან სწავლობენ დონორები, დაუბრკოლებრივ გაუშვან ისინი სამედიცინო შესამოწმებლად და სისხლის მისაცემად როგორც სისხლის გადასხმის თბილისის ინსტიტუტში ისე მის რაიონულ და საქალაქო ფილიალებში (სისხლის გადასხმის სადგურები და კაბინეტები).

3. დაწესდეს, რომ დონორებს იმ პერიოდში, როდესაც ისინი თავიანთ სადონორო ფუნქციებს ასრულებენ, თავიანთი მუშაობის ადგილზე შეენახებათ საშუალო ხელფასი, რომელიც მათ მიეცემათ სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ან მისი ფილიალების მიერ გაცემულ სათანადო ცნობის წარმოდგენის შემდეგ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 199.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. კირისა და ცემენტის ბეტონიტის ბლოკების ფასების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1940 წლის 1 იანვრიდან ერთი კუბ. მეტრი ბეტონიტის ბლოკების შემდეგი საგასაცემო ფასები ფრანკო-საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ქარხნები: კირის ბეტონიტის ბლოკების — 75 მან. და ცემენტის ბეტონიტის ბლოკების — 67 მანეთი.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს მიაღწიოს კირის ბლოკების თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებას იმ ანგარიშით, რომ მე-II კვარტალში მათი ღირებულება არ აღემატებოდეს ცემენტის ბლოკების ღირებულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 284.
თბილისი.

---

13. გაზაფხულზე წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

1940 წელს წყალდიდობასთან ბრძოლის უკეთ ორგანიზაციისა და წარმატებით ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ა. ნ. რაფავა, წევრები: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ზერექიძე, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. კიკნაძე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ამხ. გოგუა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსი ამხ. ცაგურია.

2. დაეკისროს აღნიშნულ კომისიას წყალდიდობასთან ბრძოლით დაინტერესებული ყველა უწყების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ღონისძიებათა კოორდინირება, წყალდიდობასთან ბრძოლის დროულად მომზადებისა და გატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებისადმი ხელმძღვანელობა; ნაპირების გასამაგრებელ, დასაცავ სამუშაოთა შესრულების და როგორც ნაპირების გასამაგრებელ არსებულ ნაგებობათა, ისე ახლად მოწყობილ ნაგებობათა დაცვის სამუშაოების უზრუნველყოფა.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც წყალდიდობის საფრთხე არსებობს, შექმნან წყალდიდობასთან მებრძოლი ადგილობრივი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: რაიონული ან საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რაიგანყოფილების უფროსი, წყალთა მეურნეობის სამმართველოს რაიგანყოფილების უფროსი, რაიონული (საქალაქო) კომუნალური განყოფილების გამგე და საგზაო განყოფილების გამგე.

4. დაწესდეს 1940 წლისათვის წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოთა მოცულობა 5.463,7 ათასი მან. რაოდენობით, აქედან:

ა) საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხაზით 3.292,7 ათასი მან., აქედან დაბანდებანი — 1.500 ათასი მან. და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა 1.792,7 ათასი მან.;

ბ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ხაზით 680,0 ათასი მან. ქალაქების კომუნალური კეთილმოწყობის მიმდინარე ხარჯების ანგარიშში;

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს ხაზით 1.491 ათასი მან., აქედან ბიუჯეტის ასიგნობათა ხარჯზე 1.123 ათასი მან. და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ხარჯზე 368 ათასი მან.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს მე-4 მუხლში აღნიშნული ასიგნობათა 1940 წლის ბიუჯეტით და აწარმოოს შეუფერხებელი დაფინანსება.

6. დაევალოს რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ გაშალონ სამშენებლო სამუშაოები იმ ანგარიშით, რომ აპრილის დამლევამდე დამთავრდეს ნაპირის გასამაგრებელი საცავი სამუშაოები, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქკურორტტყეს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ნება დართოს წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიებს უსასყიდლოდ მოსჭრან საჭირო რაოდენობის ხე-ტყე წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებისათვის.

8. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს 1940 წ. მარტის დამლევამდე წარუდგინონ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს საჭირო განაცხადები წყალდიდობასთან საბრძოლველად საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობის ხე-ტყეზე. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს აეკრძალოს ნებართვის გაცემა წყალდიდობის საჭიროებისათვის ტყის მოსაჭრელად ნაკრძალებში.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მისცეს წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებისათვეს:

მრგვალი რკინა —	საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს . . .	8,5	ტონა
	კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატს	4,0	„
	მთავარ საგზაო სამმართველოს	7,9	„
ლურსმანი —	საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს . . .	0,8	„
	კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატს	0,4	„
	მთავარ საგზაო სამმართველოს	1,3	„

10. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მისცეს წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებისათვის:

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს —	რეზინის ჩექმები . . .	20	წყვ.
	ტყავის „ . . .	10	„
	ბრეზენტის პლაშჩი . .	10	„
მთავარ საგზაო სამმართველოს —	რეზინის ჩექმები . . .	20	„
	ტყავის „ . . .	10	„
	ბრეზენტის პლაშჩი . .	10	„

11. გამოყოფილ იქნას პირველ კვარტალში წყალდიდობასთან მებრძოლი კომისიის განკარგულებაში 18 ავტოსაფარი.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოუყოს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს საჭირო რაოდენობის ბენზინი წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებებისათვის.

12. წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციას, რომელიც ხე-ტყის დაცურებას ეწევა, მიიღონ ზომები წყალდიდობისაგან მცველ ნაგებობათა დასაცავად, ამასთან გაფრთხილებულ იქნან ისინი, რომ სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ტყის დაცურებით მიყენებული ზარალისათვის.

13. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, რომელთა ქონებასაც წყალდიდობა ემუქრება, გამოჰყონ საჭირო სახსრები წყალდიდობასთან საბრძოლველად. მუშაობა ჩაატარონ ადგილობრივ კომისიებთან შეთანხმებით.

14. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს უზრუნველჰყონ, ცენტრალური და ადგილობრივი კომისიების მოთხოვნით, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებში მუშა-ხელითა და ტრანსპორტით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგრის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 16, მუხ. 127; 1933 წ. № 12, მუხ. 166; 1934 წ. № 1, მუხ. 28; 1935 წ. № 14, მუხ. 79).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 23. № 285.
თბილისი.

---

14. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 30 იანვრის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 3, მუხ. 82) და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 5 მარტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ რაიონების მიხედვით კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი წლიური ნორმები, რაც გამოიანგარიშება კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის (სახნავი, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები) თითოეული ჰექტარის კვალობაზე:

რაიონები	ნახევრად უხეში მატყლი გრამობით		რაიონები	ნახევრად უხეში მატყლი გრამობით	
	1941 წ.	1940 წ.		1941 წ.	1940 წ.
I.			II.		
ადიგენის	300	200	კასპის	350	300
ასპინძის	„	„	ლაგოდეხის . . .	„	„
ახალციხის	„	„	მცხეთის	„	„
ხაშურის	„	„	ბორჯომის	„	„
გორის	„	„	სტალინირის . . . (სამხრეთ-ოსეთის ავტონომ. ოლქი)	„	„
ქარელის	„	„			

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	ნახევრად უხეში მატყლი გრამობით		რაიონები	ნახევრად უხეში მატყლი გრამობით	
	1941 წ.	1940 წ.		1941 წ.	1940 წ.
ზნაურის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი) . .	350	300	IV.		
ჯავის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი) . .	„	„	თიანეთის	750	720
III.			დუშეთის	„	„
ლუქსემბურგის . .	550	500	თელავის	„	„
გურჯაანის . . .	„	„	ყვარლის	„	„
წალკის	„	„	სიღნაღის	„	„
ბაშკიჩეთის . . .	„	„	წითელწყაროსი . .	„	„
აღბულაღის . . .	„	„	ყარაიასი	„	„
ახალქალაქის . .	„	„	ბორჩალოსი . . .	„	„
ბოგდანოვკის . .	„	„	ყაზბეგის	„	„
თბილისის	„	„	ლენინგორის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი)	„	„
საგარეჯოსი . . .	„	„			

2. დაწესდეს 1940 წლიდან მოყოლებული სახელმწიფოსათვის საკოლმეურნეო კომლების მიერ მატყლის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი წლიური ნორმები გრამობით ყველა ასაკის თითოეულ ცხვარსა და თხაზე სათანადო წლის 1 იანვრისათვის ფაქტიური სულადობის მიხედვით:

რაიონები	საკოლმეურნეო კომლი		რაიონები	საკოლმეურნეო კომლი	
	ცხვარი	თხა		ცხვარი	თხა
I.			ორჯონიკიძის . .	450	200
ქუთაისის	450	200	ტყიბულის	„	„
სამტრედიის . . .	„	„	ონის	„	„
წულუკიძის . . .	„	„	ამბროლაურის . .	„	„
ვანის	„	„	ცაგერის	„	„
ბაღდათის	„	„	აბაშის	„	„
ზესტაფონის . . .	„	„	ცხაკაიას	„	„
ჩხარის	„	„	გეგეჭკორის . . .	„	„
ჭიათურის	„	„	ზუგდიდის	„	„

რაიონები	საკოლმეურნეო კომლი	
	ცხვარი	თხა
ხობის	450	200
წალენჯიხის . .	"	"
ჩხოროწყუს . . .	"	"
მახარაძის . . .	"	"
ლანჩხუთის . . .	"	"
ჩოხატაურის . . .	"	"
ფოთის	"	"
წყალტუბოს . . .	"	"
საჩხერის	"	"
ახალციხის	"	"
ადიგენის	"	"
ასპინძის	"	"
აფხაზეთის ასსრ		
სოხუმის	"	"
გაგრის	"	"
გუდაუთის	"	"
ოჩამჩირის	"	"
გალის	"	"
აჭარის ასსრ		
ბათუმის	"	"
ქობულეთის . . .	"	"
ხულოს	"	"
ქედის	"	"
II.		
ახალქალაქის . . .	900	200
ბოგდანოვკის . . .	"	"
ყვარლის	"	"
სტალინირის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი) . .	"	"

რაიონები	საკოლმეურნეო კომლი	
	ცხვარი	თხა
ჯავის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი) . . .	900	200
ზნაურის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი) . . .	"	"
წალკის	"	"
ბორჯომის . . .	"	"
ხაშურის	"	"
გორის	"	"
ქარელის	"	"
კასპის	"	"
ლაგოდეხის . . .	"	"
მცხეთის	"	"
III.		
ბაშკიჩეთის . . .	1100	200
აღბულაღის . .	"	"
თიანეთის	"	"
გურჯაანის	"	"
თბილისის	"	"
დუშეთის . . .	"	"
ყაზბეგის	"	"
თელავის	"	"
სიღნაღის . . .	"	"
ლენინგორის (სამხრეთ-ოსეთის -ავტონომიური ოლქი) .	"	"
წითელწყაროს . .	"	"
ყარაიასი	"	"
საგარეჯოსი . . .	"	"
ბორჩალოსი . . .	"	"
ლუქსემბურგის . .	"	"

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდნს, 1940 წლიდან მოყოლებული ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი წლიური ნორმები გრამობით ყველა ასაკის ერთ სულ ცხვარსა და თხაზე სათანადო წლის 1-ლი იანვრისათვის ფაქტიური სულადობის მიხედვით:

რაიონები	ერთპიროვნული მეურნეობები	
	ცხვარი	თხა
I.		
ადიგენის	600	220
ასპინძის	"	"
ახალციხის	"	"
II.		
ქუთაისის	750	220
წყალტუბოს . . .	"	"
სამტრედიის . . .	"	"
წულუკიძის . . .	"	"
ვანის	"	"
ბაღდათის	"	"
ზესტაფონის . . .	"	"
ჩხარის	"	"
ჭიათურის	"	"
საჩხერის	"	"
ორჯონიკიძის . .	"	"
ტყიბულის	"	"
ონის	"	"
ამბროლაურის . .	"	"
ცაგერის	"	"
აბაშის	"	"
ცხაკაიას	"	"
გეგეჭკორის . . .	"	"
ზუგდიდის	"	"
ხობის	"	"
წალენჯიხის . . .	"	"

რაიონები	ერთპიროვნული მეურნეობები	
	ცხვარი	თხა
ჩხოროწყუს . . .	750	220
მახარაძის	"	"
ლანჩხუთის . . .	"	"
ჩოხატაურის . . .	"	"
ფოთის	"	"
აფხაზეთის ასსრ		
სოხუმის	"	"
გაგრის	"	"
ოჩამჩირის	"	"
გუდაუთის	"	"
გალის	"	"
III.		
აჭარის ასსრ		
ბათუმის	800	220
ქობულეთის . . .	"	"
ქედის	"	"
ხულოს	"	"
IV.		
ახალქალაქის . .	1000	220
V.		
ბოგდანოვკის . .	1100	220
ყვარლის	"	"
VI.		
წალკის	1200	220

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	ერთპიროვნული მეურნეობები		რაიონები	ერთპიროვნული მეურნეობები	
	ცხვარი	თხა		ცხვარი	თხა
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი					
			გურჯაანის . . .	1400	220
სტალინირის . . .	1150	220	ბაშკიჩეთის . . .	„	„
ზნაურის	1000	„	საგარეჯოს	„	„
ლენინგორის . . .	1400	„	თიანეთის	„	„
ჯავის	1100	„	დუშეთის	„	„
VII.			IX.		
ბორჯომის	1350	„	მცხეთის	1450	„
ხაშურის	„	„	თბილისის	„	„
გორის	„	„	თელავის	„	„
კასპის	„	„	ბორჩალოსი . . .	„	„
ქარელის	„	„	X.		
ლაგოდეხის . .	„	„	სიღნაღის	1500	„
ალბულაღის . . .	„	„	წითელწყაროსი . .	„	„
VIII.			ყარაიასი	„	„
ლუქსემბურგის . .	1400	„	ყაზბეგის	„	„

4. კოლმეურნეობების მიერ მატყლის სავალდებულო ჩაბარების ამ დადგენილებით დაწესებული რაიონობრივი ნორმები, ჰექტარი მიწის ფართობის კვალობაზე, გამოყენებულ იქნას, როგორც წესი, რაიონის ყველა კოლმეურნეობების მიმართ.

ცალკე კოლმეურნეობებისათვის, გამონაკლისის წესით, საქ. სსრ-ში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის დამტკიცების შემდეგ, დაშვებულ იქნას გადახრა მატყლის ჩაბარებათა რაიონული წლიური ნორმის გადიდებისა ან შემცირების ხაზით 50 პროცენტის ფარგლებში, ამასთანავე აუცილებლად დაცულ უნდა იქნას რაიონისათვის დამტკიცებული მატყლის ჩაბარების საშუალო ნორმა.

5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 5 მარტის დადგენილების შესაბამისად დაევალოს საქართველოს სსრ-ში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს:

ა) აწარმოოს, როგორც გამონაკლისი, 1940 წლისათვის დასავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობების მიერ მატყლის ჩაბარების გამოანგარიშება არა იმ მიწის ფართობის მიხედვით, რომელიც მიმაგრებულია კოლმეურნეობებზე, არამედ ფაქტიური სულადობის მიხედვით, რომელიც ირიცხებოდა 1940 წლის 1 იანვრისათვის, იმ ნორმებით, რომლებიც მოქმედებდა 1939 წელს (1000 გრამი ერთ ცხვარზე და 220 გრამი ერთ თხაზე);

ბ) განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარებისაგან დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობები, საკოლმეურნეო კომლები, ერთპიროვნული გლეხობის მეურნეობანი, მუშები და მოსამსახურეები მეგრული ჯიშის თხის, როგორც უპარსის სულადობაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 7.
თბილისი.

---

15. საკონცერტო-საესტრადო ღონისძიებებით მშრომელთა მომსახურეობის მოწესრიგების შესახებ.

საქართველოს სსრ-ში საკონცერტო-საესტრადო ღონისძიებათა ხარისხისა და მხატვრული ღირებულების ამაღლების, რაიონებში გასაგზავნ სამხატვრო ბრიგადების, ანსამბლებისა და კოლექტივების კვალიფიციური ძალებით დაკომპლექტების, მხატვრული ღირებულების საესტრადო რეპერტუარის შექმნის და საორკესტრო მუსიკოსების დაქუცმაცებული ჯგუფების მუშაობის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მშრომელთა საკონცერტო-საესტრადო ღონისძიებებით მომსახურეობა საქართველოს სსრ-ის მთელს ტერიტორიაზე ცენტრალიზებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში და გატარდეს საქართველოს სახელმწიფო ესტრადისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მეშვეობით.

2. აეკრძალოს ყველა სხვა ორგანიზაციასა და პირებს რაიმე კონცერტის მოწყობა საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ესტრადისა ან საქართველოს ფილარმონიის საგზურების გარეშე.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ უზრუნველჰყოს ყველა მოედნების, როგორც თბილისში, ისე რაიონებში სრულფასიანი, მთლიანი მომსახურეობა საესტრადო ღონისძიებებით, დააწესოს კონტროლი საქართველოს სახელმწიფო ესტრადისა

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფილარმონიის მიერ მოწყობილი კონცერტების რეპერტუარზე და გააუმჯობესოს საკონცერტო პროგრამების ხარისხი.

4. გაერთიანებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო ესტრადასთან არსებულ საორკესტრო მუსიკოსების ბიუროში ორკესტრის მუსიკოსების ყველა დაქუცმაცებული ჯგუფი. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს შეფასებანი მუსიკალური მომსახურეობის სხვადასხვა სახეებისათვის (სხდომების, სხვადასხვა პროცესიების, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილების, კინოების, სტადიონების, სასადილოების და სხვ. მომსახურეობისათვის).

5. აეკრძალოს საქართველოს მთელს რესპუბლიკაში მუშაობა, როგორც ცალკეულ ორკესტრანტებს, ისე მათს ჯგუფებს საქართველოს სახელმწიფო ესტრადის საორკესტრო მუსიკოსების ბიუროს სათანადო საგზურების გარეშე.

6. აეკრძალოს, მათი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელსა და მთავარ ბუხჰალტრებს აწარმოონ რაიმე ფულადი გაცემა საკონცერტო ღონისძიებათა ასანაზღაურებლად საქართველოს სახელმწიფო ესტრადისა და საქართველოს ფილარმონიის საგზურების გარეშე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 20.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8957
ეროვნული ბიბლიოთეკა
И распоряжений Правительства Груз. ССР. г. Тбилиси.
П·568/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

Груз

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № ა—1866 შეკ. № 452 ტირაჟი 2000